აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება -

საარქივო სამმართველო

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი 21 აგვისტო, 2013 წელი

პრეამბულა

ურთიერთთანამშრომლობის მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო თანხმდებიან შემდეგზე:

მემორანდუმის ფარგლებში ერთმანეთს ხელი შეუწყონ

- ერთობლივი შემოქმედებითი და სამეცნიერო პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში;
- სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის ჩატარებაში.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას ერთობლივი პროექტების მომზადების, განხორციელებისა და აუცილებელი რესურსების მოზიდვის მიზნით.

1.2. თითოეული მხარის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოიყენებენ უნივერსიტეტის პროფესორები, პედაგოგები, სასწავლო-შემოქმედებით პროცესში ჩართული სტუდენტები, საარქივო სამმართველოს თანამშრომლები და სპეციალისტები.

1.3. მხარეები გაუწევენ ერთმანეთს კონსულტაციებს და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო-შემოქმედებით და სამეცნიერო პროექტებს.

1.4. მხარეები უზრუნველყოფენ პროფესორ-მასწავლებელთა და სპეციალისტთა გაცვლას პროფესიული პრაქტიკებისა და შემოქმედებითი პროექტების ფარგლებში.
1.5. ხელოვნების უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს საარქივო სამმართველოს:
- უნივერსიტეტის შენობაში განახორციელოს შემოქმედებითი პროექტები, სასწავლო-სამეცნიერო სემინარები და სხვა ღონისძიებები;
- ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორ-მასწვალებლები და სტუდენტები (რეჟისორები, მხატვრები, დიზაინერები), საარქივო სამმართველოს დირექციის მომართვის საფუძველზე, ანაზღაურების გარეშე, დახმარებას და კონსულტაციებს გაუწევენ შემოქმედებითი პროექტების (გამოფენის მომზადება, თეატრალიზებული წარმოდგენა, ვიდეო-ფოტოგადაღება, კონცერტის, კონკურსის რეჟისურა და სხვ.) მომზადებასა და ჩატარებაში.
1.6. საარქივო სამმართველო მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში:
- ხელს შეუწყობს სპეციალისტთა და სტუდენტთა პრაქტიკის გავლას;
- არქივის საბიბლიოთეკო, ფოტო და კინო ფონდით სარგებლობის ხელმისაწვდომობას.

მუხლი 2
2.1. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.
2.2. მემორანდუმი მხარეებს არანაირ სამართლებრივ ვალდებულებებს არ აკისრებს და არ აქვს სავალდებულო ხასიათი, ის მხოლოდ აფიქსირებს მხარეთა სურვილს ყოველმხრივ შეუყწონ ხელი ერთმანეთს ორივე მხარის მომგებიან თანამშრომლობაში.

მუხლი 3
3.1.. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
3.2. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა მხარეებს.

აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება
საარქივო სამმართველოს უფროსი — გ. სალაძე

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი — ე. მესხია